სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

Master's Educational Program

ტურიზმი

Tourism

თბილისი
2026

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**ტურიზმი (Tourism)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**I ნაწილი** **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი - 1019.2.1** **Master of Tourism and Hospitality Management – 1019.2.1.** **II ნაწილი** **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კვლევის მაგისტრი** **Research Master of Tourism and Hospitality Management**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	I ნაწილი - **სულ: 60 (ECTS) კრედიტი, მათ შორის:** პროგრამის სავალდებულო კურსები - 50 **კრედიტი;** მ.შ არჩევითი - **10 კრედიტი** პროფესიული პრაქტიკა **-10 კრედიტი** **II ნაწილი - სულ: 60 (ECTS) კრედიტი, მათ შორის:** პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 **კრედიტი** მ.შ. არჩევითი - **5 კრედიტი** სამაგისტრო ნაშრომი **- 20 კრედიტი**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**იოსებ ხელაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, დოქტორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **ტურიზმი** მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ. **I ნაწილი** მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა **ტურიზმი** დაშვების წინაპირობები: • ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • ზეპირი გასაუბრება; • ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე ან ამ ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი. • მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი წესით. **II ნაწილი**

	• სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა პროგრამის I ნაწილის გავლა • საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	I ნაწილი • ტურიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური <u>დარგისთვის</u> კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შესაბამისი ღრმა და სისტემური **თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით** • ტურიზმის მრავალპროფილიანი სფეროსათვის, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შესაბამისი ღრმა და სისტემური **თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით** II ნაწილი • ტურიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური დარგისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შესაბამისი სფეროს **მეთოდიკური ცოდნით, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით** • ტურიზმის მრავალპროფილიანი სფეროსათვის, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შესაბამისი სფეროს **მეთოდიკური ცოდნით, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით**
სწავლის შედეგები	I ნაწილი **სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:** **ცოდნა და გაცნობიერება** • **სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს** ტურიზმს, როგორც ინდუსტრიას და მის ცალკეულ სექტორებს, ტურიზმის მართვის სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების ორგანიზაციულ სტრუქტურებს ქვეყნის და საერთაშორისო დონეზე, ტურიზმის ინდუსტრიის არსებულ მდგომარეობას, განვითარების ტენდენციებს და სტრატეგიული მენეჯმენტს; • **განიხილავს** ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული

	დისციპლინების კონცეფციებს, კლასიკურ, თანამედროვე და ინოვაციურ დებულებებს, განვითარების სტრატეგიებს, განთავსების საშუალებებს და ტუროპერატორული კომპანიების ფინანსური და მარკეტინგული მენეჯმენტის თავისებურებებს. **უნარი** • **აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს** ტურიზმის ბიზნესთან და დარგთან დაკავშირებულ მარკეტინგულ, ფინანსურ და მენეჯერული მონაცემებს, შესაბამისი გამოწვევების, ტენდენციების და პოტენციალის იდენტიფიცირებით; • **განაზოგადებს** მოძიებულ ინფორმაციას და მონაცემებს, ახდენს მათი **სტრუქტურიზებას, კლასიფიცირებას** და **სინთეზს,** მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას და კონცეპტუალიზაციას კვლევაში დასახული მიზნების შესაბამისად. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • **იღებს პასუხისმგებლობას** ტურიზმის სფეროში მენეჯმენტთან და მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, ლიდერობის მოვალეობებზე, ასევე ტურიზმთან დაკავშირებული მდგრად განვითარებაზე საკუთარი დასკვნების დაინტერესებულ მხარეების წინაშე წარდგენაზე შესაბამისი აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. **II ნაწილი** **სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:** **ცოდნა და გაცნობიერება** • **განსაზღვრავს** კვლევის მეთოდების და ინსტრუმენტების თავსებადობას ტურიზმის სფეროში შესასწავლ საკითხებთან მიმართებაში, საინფორმაციო სისტემების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უპირატესობებს ტურისტული პროდუქტების წარმოებაში, მარკეტინგში და მენეჯმენტში; • **სისტემურად აღწერს** ტურისტული ბიზნესის განვითარების სპეციფიკას, ტენდენციებს და მის გავლენას ტურიზმის პოლიტიკაზე ინოვაციებისა და ახალი იდეების განვითარებისთვის. **უნარი** • **იყენებს** ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ და მეთოდურ ცოდნას კვლევების პროცესში, პროექტებისა და მდგრადი განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ბიზნესის წარმართვასა და ლიდერობის

	სტრატეგიის განსაზღვრაში; • ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით **დამოუკიდებლად ასრულებს** კვლევით ნაშრომს, წარადგენს კვლევის შედეგებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • **დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას,** საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, სწავლის პროცესის და კარიერული წინსვლის სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით.
სწავლა-სწავლების მეთოდები	**(ნაწილი I)** სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო აქტუაალურია სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერითი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • დისკუსია/დებატები • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • თანამშრომლობითი სწავლება • გონებრივი იერიში • შემთხვევის ანალიზი • საექსპერტო შეფასებისა და სხვა **(ნაწილი II)** სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე აქტუალურია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილისთვის ტიპობრივი სწავლა-სწავლების კონკრეტული, ასევე ქვემოთ დასახელებული მეთოდები: • პროექტი/რეფერატი • პრეზენტაცია • დემონსტრირების მეთოდი • კვლევაზე დაფუძნებული სწავლება • პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება • რეფლექსიური სწავლება
შეფასების სისტემა	**(ნაწილი I)** სასწავლო კომპონენტის დაუფლება ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროცესში და ეფუძნება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპებს. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის სწავლის

	შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად, რაც გულისხმობს უწინარესად ცალკეულ სასწავლო კომპონენტებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შესაბამისი შეფასების ფორმებით, ერთი მხრივ, შუალედური (ერთჯერად), ხოლო მეორე მხრივ, დასკვნითი შეფასების ფარგლებში, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, საშინაო ნაშრომი, თარგმანი, რეფერატი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში, ეცნობება და განემარტება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **ტურიზმი (ნაწილი I)** განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში, რაც ასევე განემარტება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს,

	რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. **(II ნაწილი)** ითვალისწინებს სასწავლო კურსის შეფასების მოდელსაც და ასევე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **ტურიზმი** ფარგლებში სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპეტენციის ჩამაღრმავებელ და ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებს (იხ. სასწავლო კურსების შეფასების სქემა პროგრამის (**ნაწილი** I) შეფასების სისტემის რუბრიკაში), რის საფუძველზეც დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს - **სამაგისტრო ნაშრომს**. **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად,** დასკვნითი შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **ტურიზმი (I ნაწილი)**

	კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს შემდეგ მიმართულებით: ✓ ტუროპერატორულ და ადგილზე ტურისტთა მომსახურებაზე ორიენტირებულ კომპანიებში მენეჯმენტის საშუალო და მაღალ პოზიციებზე; ✓ სასტუმროებში და სხვა განთავსების საშუალებების ქსელურ და ინდივიდუალურ ობიექტებზე მენეჯმენტის საშუალო და მაღალ პოზიციებზე; ✓ კურორტებზე და ტურიზმის დანიშნულების ადგილებზე ტურიზმთან დაკავშირებულ სტრუქტურებში; ✓ ტურიზმთან დაკავშირებულ ცენტრალიზებულ და რეგიონულ სახელმწიფო, საჯარო სტრუქტურებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში სპეციალისტის და მიმართულებების მენეჯერის პოზიციებზე; ✓ ტურიზმთან და მასპინძლობასთან დაკავშირებულ ცენტრებში, პროექტებში და პროგრამებში სპეციალისტის და მენეჯერის პოზიციებზე; ✓ ტურიზმთან და მასპინძლობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში; ✓ აწარმოონ საკუთარი ბიზნესი თვით დასაქმებით. მაგისტრატურის კვლევითი საგანმანათლებლო პროგრამის **ტურიზმი** (**II ნაწილი)** კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა დამატებით დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და კვლევით დაწესებულებებში. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა მაგისტრებს საშუალებას აძლევს წარმატებით იმუშაონ კონსულტანტებად, ექსპერტებად, ეკონომიკის ანალიტიკოსებად და პროგნოზისტებად, შესაბამისი სფეროდ სახელმწიფო/კერძო დაწესებულებებში მაღალ პოზიციაზე.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **ტურიზმი (ნაწილი I)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრაუტრის პროგრამის **II ნაწილზე,** რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. მაგისტრატურის კვლევითი საგანმანათლებლო პროგრამის **ტურიზმი (ნაწილი II)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევრის მომზადებაზე.

სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ. **სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი** სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება - სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტში ჩართული და თანამედროვე პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასი და სხვა). ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსები უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა მაგისტრანტს პირობებს უქმნის სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად. ამ მიზნით, მას ეძლევა ფაკულტეტისა და თსუ–ს ბიბლიოთეკებითა და არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობა. ასევე, დამატებითი ლიტერატურა (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები) მიეწოდება მაგისტრანტს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის თემა შეირჩევა მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის სათანადო კონსულტაციების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევში“.

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: ***ეკონომიკა და ბიზნესი***

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ***ტურიზმი***

სწავლების საფეხური: ***მაგისტრატურა***

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი (Master in Tourism and Hospitality Management)**

კრედიტების რაოდენობა: ***60 ECTS (I ნაწილი)***

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ***იოსებ ხელაშვილი***

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: ***ცვლილება თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57,*** **დადგენილება N: 62/2013 29.04.2013** (***დანართი 211;*** **ცვლილება: აკადემიური საბჭოს დადგენილება №44, 22.06.2026)** ***https://www.tsu.ge/ka/legalakad/39716***

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): ***2026-2027***

აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბერი № 116 გადაწყვეტილება **https://eqe.ge/ka/decisions/8647/show**

პროგრამის I ნაწილი

№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო / არჩევითი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		I ნაწილი		
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				1	2	
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 40 კრედიტი								**25**	**15**	
1	ტურიზმის მდგრადი განვითარება	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ი. ხელაშვილი
2	მარკეტინგის მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. თოდუა
3	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		რ. სეთურიძე
4	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		მ. ხოხობაია
5	ბიზნესის დაგეგმვა და მართვა ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. კაციტაძე
6	მომსახურების მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	ნ. ფარესაშვილი
7	პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	მ. ხოხობაია
8	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში		5	ვ. არღუთაშვილი
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი								**5**	**5**	
1	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. კვარაცხელია
2	ინგლისური ენა B1.2	არჩევითი	5	0	45	80	125	წინაპირობის გარეშე			ხ. ნამიჭეიშვილი; თ. ხვედელიძე
3	სათავგადასავლო ტურიზმი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			ნ. კაციტაძე; ი, ვაწაძე

4	ხელოვნური ინტელექტი და ციფრული ტრანსფორმაცია ტურიზმში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	მ. ხოხობაია ვ. არღუთაშვილი
5	გასტრონომიული ტურიზმი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			დ. ცატავა
6	ინგლისური ენა B2.1	არჩევითი	5	0	45	80	125	ინგლისური ენა B1.2			ხ. ნამიჭეიშვილი; თ. ხვედელიძე; მ. გიორგაძე
	პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი									**10**	
7	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	10	25		225	250	**პრაქტიკის არჩევის წინაპირობა** 30 კრედიტი (პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები); **პრაქტიკის დაცვის წინაპირობა** - პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის ჩაბარება (50 კრედიტის ათვისება)		10	ი. ხელაშვილი
									30	**30**	

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: *ეკონომიკა და ბიზნესი*

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: *ტურიზმი*

სწავლების საფეხური: *მაგისტრატურა*

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - **ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კვლევის მაგისტრი**
Research Master of Tourism and Hospitality Management

კრედიტების რაოდენობა: *60 ECTS (II ნაწილი)*

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი *იოსებ ხელაშვილი*

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: *ცვლილება თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57,* დადგენილება **N: 62/2013 29.04.2013** (*დანართი 211;* **ცვლილება: აკადემიური საბჭოს დადგენილება №44, 22.06.2026)** *https://www.tsu.ge/ka/legalakad/39716*

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): *2027-2028*

აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბერი № 116 გადაწყვეტილება https://eqe.ge/ka/decisions/8647/show

პროგრამის II ნაწილი

№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო / არჩევითი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		II ნაწილი		
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				1	2	
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 35 კრედიტი								**25**	**10**	
1	კვლევის მეთოდოლოგია ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. კაციტაძე
2	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ს. გელაშვილი; ნ. აბესაძე
3	ლიდერული უნარ-ჩვევები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ე. გულუა
4	ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგის მენეჯმენტი	5		ი. ხელაშვილი
5	ინვესტირება სასტუმრო ინდუსტრიაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ი. ხელაშვილი
6	ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	4	15	30	55	100	წინაპირობის გარეშე		4	მ. ხოხობაია
7	ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში	სავალდებულო	6	15	30	105	150	წინაპირობის გარეშე		6	ი. ხელაშვილი
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი								**5**		
1	ღონისძიებათა ტურიზმი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. კაციტაძე
2	საკურორტო ტურიზმი	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			ე. ბალიაშვილი
3	სასტუმრო ოპერაციების მართვა ციფრულ გარემოში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			ნ. კაციტაძე

	სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი								**20**	
4	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	20	20	465	500	**სამაგისტრო** ნაშრომის **არჩევის წინაპირობა:** 90 კრედიტი, მ.შ. პროგრამის პირველი ნაწილის შესრულება (60 კრედიტი, მაგისტრის ხარისხი), პროგრამის მეორე ნაწილის 30 კრედიტი. **დაცვაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება (100 კრედიტი, პროგრამის პირველი ნაწილის ჩათვლით)		20	ი. ხელაშვილი; ნ. კაციტაძე
								30	**30**	

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სამაგისტრო ნაშრომების საორიენტაციო ზოგადი თემატიკა

1. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
2. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებში;
3. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება საქართველოს მთიან რეგიონებში;
4. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები საქართველოს ქალაქებში;
5. ქსელური სასტუმროების ბიზნესის და მენეჯმენტის თავისებურებები;
6. სასტუმროების მომარაგების ორგანიზების თავისებურებები;
7. მომსახურების ხარისხის მართვა სასტუმრო ინდუსტრიაში;
8. ინვესტირების თავისებურებები სასტუმრო ინდუსტრიაში;
9. ინვესტირების თავისებურებები საოჯახო სასტუმროებში;
10. საოჯახო სასტუმროების მენეჯმენტის და მარკეტინგის თავისებურებები;
11. სასტუმროების ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები;
12. სასტუმროების მარკეტინგის თავისებურებები ტუროპერატორული ბიზნესის განვითარება საქართველოში;
13. ტურისტული მარშრუტების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში;
14. საქართველოს პოტენციალი რეგიონული ტურისტული მარშრუტების განვითარებაში;
15. შემოსვლითი ტურიზმის ტენდენციები საქართველოში;
16. ტურიზმის დანიშნულების ადგილების განვითარება საქართველოში;
17. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალი;
18. საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონების ტურისტული პოტენციალი;
19. გასვლითი ტურიზმის ტენდენციები საქართველოში;
20. ეკოტურიზმის განვითარება საქართველოში;
21. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს მთიან რეგიონებში;
22. ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს დაცულ ტერიტორიებში;
23. ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
24. ექსტრემალური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
25. საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები;
26. აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
27. რეკრეაციული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;

28. საქართველოს კულტურული ტურიზმის განვითარების პოტენციალი;
29. მუსიკალური ფესტივალების როლი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში;
30. საქმიანი ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
31. ღონისძიებათა ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
32. საქართველოს ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარების პოტენციალი;
33. სამკურნალო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში;
34. ინკლუზიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
35. ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და პერსპექტივები საქართველოში;
36. ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
37. ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები ტურისტულ კომპანიებში;
38. ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში;
39. ტურიზმის განვითარების ზეგავლენა სოციალურ გარემოზე (საქართველოს რეგიონების მაგალითზე);
40. საქართველოში ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია;
41. „ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ტურიზმში“;
42. ინოვაციური მიდგომები ტურიზმის ბიზნესის ორგანიზებაში;
43. ინოვაციური მიდგომები და საშუალებები ტურიზმის მარკეტინგში;
44. ინოვაციური მიდგომები და მეთოდები ტურისტთა მომსახურებაში;
45. ტურიზმის სწავლებისა და კვლევის საბაზისო მიდგომები: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო;
46. საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები;
47. საქართველოს კონკურენტუნარიანობა ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე
48. საქართველოს ადგილი შავიზღვისპირეთის საერთაშორისო ტურიზმში
49. საქართველოს სამთო ტურიზმის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე
50. ტურიზმის მცირე ბიზნესის დაგეგმვა და ორგანიზება.